ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჯანდაცვის პოლიტიკა და ჯანმრთელობის უთანასწორობა: ციფრული ჯანდაცვის როლი და გავლენა

სალომე ჩაფიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერისტეტის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ ბუწაშვილი

თბილისი, 2026

განაცხადი

,,როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი. ვაცხადებ რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშაევარს და არ შეიცავს სხვა ავტორებისადმი აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან/და დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად''

სალომე ჩაფიძე 20.06.2026

სარჩევი

დიაგრამების ნუსხა 4

ანოტაცია 5

Annotation 7

შესავალი 9

თავი 1. ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა, ჯანმრთელობის უთანასწორობა და რესურსების განაწილების პოლიტიკურ ეკონომიკური საფუძვლები 17

1.1 ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის ცნება, ტიპოლოგია და ინფორმაციის ასიმეტრიის პრობლემა 17

1.2 ხელმისაწვდომობის კომპონენტები: ფინანსური, გეოგრაფიული, ორგანიზაციული და ინფორმაციული ბარიერები 21

1.3 ჯანმრთელობის უთანასწორობა როგორც რესურსების განაწილების, დაფინანსების მოდელისა და პოლიტიკის დიზაინის შედეგი 25

1.4 ეფექტიანობა, სამართლიანობა და ეთიკური დილემები ჯანდაცვის პოლიტიკაში 29

1.5. ციფრული უთანასწორობა (Digital Divide) როგორც ჯანმრთელობის სოციალური დეტერმინანტი 32

თავი 2. ციფრული ჯანდაცვა, სისტემური ტრანსფორმაცია და ციფრული უთანასწორობის 35

2.1 *ციფრული* ჯანდაცვის კონცეფცია, მიზნები და განვითარების ძირითადი მიმართულებები 35

2.2 ელექტრონული ჯანმრთელობის ჩანაწერების სისტემის ფუნქციური, ინსტიტუციური და კოორდინაციული მნიშვნელობა 39

2.3 მონაცემთა ანალიტიკა, ხელოვნური ინტელექტი და გადაწყვეტილების მიღების ეთიკური გამოწვევები ჯანდაცვის სისტემაში 42

2.4 საერთაშორისო გამოცდილება: ციფრული ჯანდაცვა და ხელმისაწვდომობა სხვადასხვა ქვეყანაში 46

თავი 3. კვლევის შედეგები და ანალიზი 52

დასკვნა და რეკომენდაციები 67

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა 70

დანართები 73

დიაგრამების ნუსხა

დიაგრამა1 53
დიაგრამა2 54
დიაგრამა3 55
დიაგრამა4 56
დიაგრამა5 57
დიაგრამა6 58
დიაგრამა7 59
დიაგრამა8 60

ანოტაცია

წინამდებარე კვლევა ეხება ციფრული ჯანდაცვის როლს ჯანმრთელობის უთანასწორობის შემცირების პროცესში და საკითხს განიხილავს ჯანდაცვის ხელმისაწვდომობისა და თანამედროვე ჯანდაცვის პოლიტიკის კონტექსტში. კვლევის აქტუალობა განპირობებულია იმით, რომ ციფრული ტექნოლოგიები სულ უფრო მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ჯანდაცვის სისტემებში და მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სამედიცინო მომსახურების ორგანიზებაზე, ინფორმაციის მართვასა და პაციენტების გამოცდილებაზე. ელექტრონული ჯანმრთელობის ჩანაწერები, ელექტრონული რეცეპტები, ტელემედიცინა და სხვა ციფრული სერვისები ქმნის შესაძლებლობას შემცირდეს გეოგრაფიული, დროითი და ადმინისტრაციული ბარიერები, თუმცა ამავდროულად წარმოშობს ციფრულ უთანასწორობასთან დაკავშირებულ ახალ გამოწვევებს.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა ციფრული ჯანდაცვის როლის შეფასება ჯანმრთელობის უთანასწორობის შემცირების პროცესში და მისი გავლენის განსაზღვრა ჯანდაცვის ხელმისაწვდომობაზე. კვლევის ფარგლებში განხილულ იქნა ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის თეორიული საფუძვლები, ჯანმრთელობის უთანასწორობის გამომწვევი ფაქტორები, ციფრული ჯანდაცვის ძირითადი მიმართულებები, ციფრული უთანასწორობის კონცეფცია და საერთაშორისო გამოცდილება. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ესტონეთის, დანიისა და რუანდის მაგალითებს, რომლებიც ციფრული ჯანდაცვის განვითარების განსხვავებულ მოდელებს წარმოადგენენ.

კვლევა განხორციელდა შერეული მეთოდოლოგიის გამოყენებით. რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში Google Forms-ის საშუალებით გამოიკითხა 100 რესპონდენტი, ხოლო თვისებრივი კვლევის ნაწილში ჩატარდა ხუთი ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუ სხვადასხვა სოციალური ჯგუფის წარმომადგენლებთან. რაოდენობრივი მონაცემები დამუშავდა აღწერითი სტატისტიკის გამოყენებით, ხოლო ინტერვიუების შედეგები გაანალიზდა თემატური ანალიზის მეთოდით.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ რესპონდენტთა უმრავლესობა დადებითად აფასებს ციფრული ჯანდაცვის შესაძლებლობებს და მიიჩნევს, რომ იგი აუმჯობესებს

სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობას, ამცირებს დროისა და ფინანსური რესურსების დანახარჯს და ამარტივებს პაციენტსა და სამედიცინო პერსონალს შორის კომუნიკაციას. ამასთანავე, გამოვლინდა მნიშვნელოვანი გამოწვევები, რომლებიც დაკავშირებულია ციფრულ უნარებთან, ინტერნეტზე წვდომასთან, რეგიონულ განსხვავებებთან და მონაცემთა უსაფრთხოების მიმართ ნდობასთან.

კვლევის საფუძველზე დადგინდა, რომ ციფრულ ჯანდაცვას გააჩნია ჯანმრთელობის უთანასწორობის შემცირების მნიშვნელოვანი პოტენციალი, თუმცა მისი ეფექტიანობა დამოკიდებულია არა მხოლოდ ტექნოლოგიურ განვითარებაზე, არამედ სოციალური ჩართულობის, ციფრული განათლების, ინსტიტუციური ინტეგრაციისა და თანასწორობაზე ორიენტირებული პოლიტიკის არსებობაზე. შესაბამისად, ციფრული ჯანდაცვა უნდა განიხილებოდეს არა მხოლოდ ტექნოლოგიურ ინოვაციად, არამედ საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური სამართლიანობის ხელშეწყობის მნიშვნელოვან მექანიზმად.

საკვანძო სიტყვები: ციფრული ჯანდაცვა, ჯანმრთელობის უთანასწორობა, ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა, ელექტრონული ჯანმრთელობის ჩანაწერები, ციფრული უთანასწორობა.

Annotation

This study addresses the role of digital health in reducing health inequalities and examines the issue in the context of healthcare access and modern health policy. The relevance of the study is due to the fact that digital technologies are increasingly taking an important place in healthcare systems and have a significant impact on the organization of medical services, information management and patient experience. Electronic health records, electronic prescriptions, telemedicine and other digital services create opportunities to reduce geographical, time and administrative barriers, but at the same time they create new challenges related to digital inequality.

The aim of the study was to assess the role of digital healthcare in reducing health inequalities and to determine its impact on healthcare access. The study examined the theoretical foundations of healthcare access, factors driving health inequalities, key areas of digital healthcare, the concept of digital inequality and international experience. Particular attention was paid to the examples of Estonia, Denmark and Rwanda, which represent different models of digital healthcare development.

The study was conducted using a mixed methodology. As part of the quantitative research, 100 respondents were interviewed using Google Forms, while the qualitative research consisted of five semi-structured interviews with representatives of different social groups. The quantitative data were processed using descriptive statistics, and the results of the interviews were analyzed using thematic analysis.

The survey results showed that the majority of respondents positively assess the possibilities of digital healthcare and believe that it improves access to medical services, reduces the cost of time and financial resources, and simplifies communication between patients and medical personnel. At the same time, significant challenges related to digital skills, internet access, regional differences, and trust in data security were identified.

The study found that digital health has significant potential to reduce health inequalities, but its effectiveness depends not only on technological development, but also on the existence of social inclusion, digital education, institutional integration and equality-oriented policies.

Accordingly, digital health should be considered not only as a technological innovation, but also as an important mechanism for promoting public health and social justice.

Keywords: digital health, health inequalities, healthcare access, electronic health records, digital inequality.